



საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრი

ბრძანება № 137

თბილისი

„ 03 “ 02 2020 წ.

კერძო სამართლის იურიდიული პირის ფორმით დაფუძნებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის, რომლებიც ახორციელებენ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, მოდულებისგან შემდგარი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემადგენელი მოდულის ვაუჩერული დაფინანსების მიღების მიზნით 2020 წლის პრიორიტეტების განსაზღვრის შესახებ

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 სექტემბრის №468 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დებულების“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ლ“ ქვეპუნქტების, მე-4 მუხლის მე-4 პუნქტისა და „პროფესიული განათლების დაფინანსების წესისა და პირობების განსაზღვრისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის სახელმწიფოს მიერ დასაფინანსებელი სწავლის საფასურის მაქსიმალური ოდენობის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 19 სექტემბრის №244 დადგენილების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილის 2020 წლის 27 იანვრის N78946 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით

ვბრძანებ:

1. კერძო სამართლის იურიდიული პირის ფორმით დაფუძნებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის, რომლებიც ახორციელებენ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, მოდულებისგან შემდგარი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემადგენელი მოდულის ვაუჩერული დაფინანსების მიღების მიზნით განისაზღვროს 2020 წლის პრიორიტეტები:

- ა) 021 ხელოვნება/Art;
- ბ) 061 ინფორმაციის და კომუნიკაციის ტექნოლოგიები/Information and Communication Technologies (ICTs);
- გ) 071 ინჟინერია და საინჟინრო საქმე /Engineering and Engineering Trades;
- დ) 072 წარმოება და გადამამუშავება /Manufacturing and Processing;
- ე) 073 არქიტექტურა და მშენებლობა/Architecture and Construction;

- ვ) 081 სოფლის მეურნეობა/Agriculture;
- ზ) 082 მეტყევეობა/Forestry;
- თ) 083 მეთევზეობა/Fisheries;
- ი) 084 ვეტერინარია/Veterinary;
- კ) 088 ინტერდისციპლინური/Inter-disciplinary;
- ლ) 091 ჯანდაცვა/Health;
- მ) 101 პერსონალური მომსახურებები/Personal Services;
- ნ) 104 ტრანსპორტის მომსახურებები/Transport Services;
- ო) 0413.3.2 ლოგისტიკა/Logistics.

2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6).



ირინე აბულაძე
მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი